სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთობლივი ბრძანება № 01-09-10/72

ქ. თბილისი 30 04 2018

„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. აიკრძალოს უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობებსა (ადმინისტრაციული, სასწავლო კორპუსები, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების შენობა-ნაგებობები) და უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებულ ტერიტორიაზე თამბაქოს ნაწარმის რეალიზაცია, თამბაქოს მოწევა, ასევე, თამბაქოს მოხმარების შედეგად არსებული კვამლის, ფერფლის, ნამწვის არსებობა, აგრეთვე ჩილიმის განთავსება.

2. უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული, მოწვეული სპეციალისტები, დამხმარე პერსონალი და მასწავლებლები) და სტუდენტები ვალდებულნი არიან დაემორჩილონ უნივერსიტეტში თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან დაკავშირებით დადგენილ წესს.

3. უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობების ყველა შესასვლელსა და სხვა თვალსაჩინო ადგილას განთავსდეს აბრები წარწერით და ნიშნით თამბაქოს მოწევის აკრძალვის თაობაზე

იმ პასუხისმგებელი პირების საკონტაქტო ტელეფონის ნომრისა და სხვა ინფორმაციის მითითებით, რომელთან დაკავშირებაც იქნება შესაძლებელი თამბაქოს მოხმარების აკრძალვასთან დაკავშირებული წესების დარღვევის შემთხვევაში.

4. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილემ, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების (ფაკულტეტი, სკოლა), დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების (ინსტიტუტი, ცენტრი) და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებმა განსაზღვრონ პასუხისმგებელი პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ:

ა) თვალსაჩინო ადგილას თამბაქოს მოწევის ამკრძალავი აბრებისა და შესაბამისი მასალის (რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთობლივი ბრძანება, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლები), აგრეთვე იმ პასუხისმგებელი პირების საკონტაქტო ტელეფონის ნომრისა და სხვა ინფორმაციის განთავსებას, რომელთან დაკავშირებაც იქნება შესაძლებელი თამბაქოს მოხმარების აკრძალვასთან დაკავშირებული წესების დარღვევის შემთხვევაში;

ბ) შესაბამისი პერსონალისა და სტუდენტებისათვის ამ ბრძანებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და მათი დარღვევისათვის კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომების გაცნობას;

გ) დარღვევის შემთხვევის გამოვლენისას, უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელებას.

5. უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილებამ (რ.ქელდიშვილი) უზრუნველყოს კონტროლის განხორციელება უნივერსიტეტის თანამშრომელთა და სტუდენტთა მიერ „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით და ამ ბრძანებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებაზე.

6. დამრღვევის მიერ აღნიშნული წესის დარღვევის გამო შესაბამისი ორგანოს მხრიდან უნივერსიტეტის მიმართ საჯარიმო სანქციის გამოყენების შემთხვევაში, დამრღვევს დაეკისრება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, რაც დაიქვითება მისი შრომის ანაზღაურებიდან ან სხვა ქონებიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ბრძანების შესრულებაზე პერიოდული ანგარიში წარედგინოს რექტორს.

8. ბრძანება საჯარო გაცნობისათვის გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

9. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სტუ-ს ადმინისტრაციულ და სასწავლო კორპუსებში თამბაქოს ნაწარმის რეალიზაციისა და თამბაქოს მოწევის აკრძალვის შესახებ“ სტუ-ს 2011 წლის 26 აპრილის #32 ბრძანება.

10. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

რექტორი — არჩილ ფრანგიშვილი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი — ქეთი ქოქრაშვილი